

„მოამბე“ უმეტესწილად დაბალანსებულია ეთიკური თვალსაზრისით. პოზიტიურია, რომ „მოამბე“ საეთერო დროს უთმობს სხვადასხვა მნიშვნელობისა და კალიბრის სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ მოვლენებს, რაც კომერციული მედიის დაფარვის არეში უმეტესწილად არ ხვდება. ხარისხობრივი თვალსაზრისით, ჯამში, იგრძნობა ორიგინალური რეპორტაჟების სიმწირე. ხშირად რეპორტაჟები იმეორებს არსებულ ნიუს-ციკლს შემდგომი ანალიტიკური წიაღსვლის გარეშე, რაც აკნინებს ხარისხობრივ მაჩვენებელს.

„მოამბის“ პროდუქციის უმრავლესობა პოლიტიკურად გაწონასწორებულია. თუმცა, იკვეთება პარტიულად მიკერძოებული გაშუქების ელემენტებიც. მაგალითისთვის, ბუნდოვანია, რატომ ატარებს ეროვნულ ინტერესს ის, რომ „მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატი ჯაბა ჯიშკარიანი ზუბალაშვილის ქუჩის მოსახლეობას შეხვდა“ (23 ნოემბერი; 2018 წელი). მით უმეტეს, როდესაც ხსენებულ შეხვედრაზე დეპუტატის ერთადერთი მთავარი მესიჯი ეხებოდა არა მუნიციპალურ საკითხს, არამედ წარმოადგენდა პარტიულ პოლიტიკურ პოზიციონირებას. აგრეთვე აღინიშნება კახა კალაძის არაარსებითი/ჭარბი გაშუქება, რაც მრავალთა მიერ არა სიახლის გაშუქების, არამედ პოლიტიკური პიარის შემთხვევად შეიძლება იყოს განხილული გონივრულად. თუმცა, ამ მხრივ, სიტუაცია ბევრად უკეთესია, ვიდრე ერთი წლის წინ (რაც აღნიშნულია მაშინდელ ჩემს დასკვნაში).

25 ნოემბრის რეპორტაჟი, სახელად „გამოცემა „ფრანკელი“ საქართველოში მიმდინარე პროცესებს ეხმაურება“, აგრეთვე ტენდენციურია იმ თვალსაზრისით, რომ იგი ექსკლუზიურად ციტირებს კანდიდატ სალომე ზურაბიშვილის მომხრე წერილს. იმავე ლოგიკით, კანდიდატ სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ დაწერილ (რაოდენობრივად სავარაუდოდ უფრო მეტ) წერილსაც უნდა ვაწყდებოდეთ. იდეალურ შემთხვევაში კი არცერთს, ან საერთო კოლაჟს, სადაც განხილული იქნებოდა თუ რა დაიწერა დასავლურ, თუ აღმოსავლურ პრესაში პრეზიდენტობის კანდიდატების თაობაზე. ეს კი ასე არ არის.

სარედაქციო პოლიტიკის თავისებურების გამოხატულებას აგრეთვე რეპორტაჟი „საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციას მაღალი რანგის სტუმრები დაესწრებიან“ - მოსაზრება, რომელზეც საზოგადოებაში არ არსებობს მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულება, ვინაიდან ინაუგურაციაზე სახელმწიფოს მეთაურთა სიმწირე ყველასთვის აშკარად თვალშისაცემი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ „მოამბე“ აშუქებს ოპოზიციას, ხშირად მას ნაკლები დრო ეთმობა, ან ნაკლები ხარისხით შუქდება. მისასაღებელი იქნება ამის შეცვლა, ისე როგორც მთავრობისადმი მეტი კონსტრუქციული კრიტიკა. როდესაც ზემოთ ანალიზის სიმწირეზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება სამთავრობო პოლიტიკის მიმართ არა კრიტიკული, კონსტრუქციული კითხვების დასმას. ამჟამად რჩება შთაბეჭდილება, რომ სამთავრობო პოლიტიკის კრიტიკა მხოლოდ საპარლამენტო კრიტიკის გაშუქების დონეზე ხდება, რაც არასაკმარისია, განსაკუთრებით, ქართული ოპოზიციური სპექტრის მოზრდილი ნაწილის არაკრიტიკული და არასაქმიანი დამოკიდებულების გათვალისწინებით. სასურველი იქნება როგორც მთავრობის, ასევე სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების

პოლიტიკის იმგვარი გაშუქება, რომელიც მეტ ანალიტიკურ სიღრმესა და მეტ კვლევაზე იქნება დამყარებული.

„კვირის ინტერვიუ“ წარმოადგენს საუბარს ერთ კონკრეტულ რესპონდენტთან, რომელიც ფაქტობრივად, ყოველთვის პოლიტიკოსია. მოცემული მონიტორინგის განხილვის პერიოდში არჩევნების პირველ და მეორე ტურებს შორის მხოლოდ ორი „კვირის ინტერვიუ“ გავიდა. ამ ორი გადაცემიდან, ერთის სტუმარი იყო პოლიტიკურად აფილირებული პირი (მართალია, არაპარტიული, მაგრამ ცნობილი როგორც აფილირებული ერთ პარტიასთან) და ერთი პიარ-სპეციალისტი. სასიამოვნოა, რომ პოლიტიკურად აფილირებული პირი ოპოზიციური ძალის მომხრეა (რასაც იგი იმავე ეთერში თავად აღნიშნავს). როგორც განხილვის პერიოდში, ასევე ზოგადად, „კვირის ინტერვიუ“ პლატფორმას სთავაზობს განსხვავებულ პოლიტიკურ ხმებს, რაც ასევე მისასალმებელია. თვალმისაცემია „ნაციონალური მოძრაობის“ სპიკერთა დეფიციტი სტუმრებს შორის, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს ამ ძალის წარმომადგენელთა მხრიდან მონაწილეობაზე უარის განცხადებით. 6 დეკემბრის გადაცემაში შეინიშნა ხარვეზი, როცა ჟურნალისტს მოუხდა პირდაპირ ეთერში განცხადებინა, რომ მას ყურში ესმის ყველაფერი, რასაც საეთერო ოთახში საუბრობენ (03:03-06). კარგი იქნება, თუკი განვითარდება ამის უფრო ფარულად, უმტკივნეულოდ თქმის ტექნიკური საშუალება/ტექნიკა, რაც სხვა არხებზე არსებობს.

„რეალური სივრცე“ განაგრძობს თავის პოზიტიურ ტრადიციას. გადაცემის გუნდი წარმატებულად ახერხებს გააშუქოს ყველაზე მწვავე და რელევანტური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. გუნდი ხმას და პლატფორმას აწვდის ფართო რანგის სტუმრებს, რომელთაც შესაძლოა სხვა შემთხვევაში არ ჰქონოდა წვდომა საჯარო ტრიბუნასთან, რაც ასევე ცალსახად მისასალმებელია.

მისასალმებელია ასევე ახალი გადაცემა „42-ე პარალელი“. ეს ანალიტიკური გადაცემა აშუქებს საკითხებს, რომლებიც ფაქტობრივად სავსებით არ შუქდება თანამედროვე საქართველოში, არც ბეჭდურ მედიაში და არც სატელევიზიო სივრცეში. გადაცემა გვთავაზობს ფართო რანგის საკითხების მიმოხილვას, როგორცაა ცენტრალური ევროპის დაკარგული იდენტობის ძიება, ატლანტიციზმის კრიზისი, ბრეგსიტი და სოციალური ამბოხება, ისე როგორ არგენტინელი ქრისტინა კირშნერის პროფილი. ამ გადაცემის არსებობა ცალსახად მისასალმებელია, რადგან იგი მაყურებელს აძლევს შანსს, განავითაროს პერსპექტივა გლობალური საკითხების თაობაზე, რისი შანსიც ქართველ მაყურებელს დღეს ფაქტობრივად არ გააჩნია. მისასალმებელი იქნება, თუკი გადაცემა კიდევ უფრო მეტ საკითხს მოიცავს და შესაბამისად, უფრო ხშირად გავა.